სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/92

ქ. თბილისი 27 ივლისი 2022 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2022 წლის 25 ივლისის საბჭოს სხდომის № 6 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 27 ივლისის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები შესული ცვლილებების შესაბამისად:
   1.1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „გეოლოგია";
   1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო ტექნიკოსი";
   1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი";
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2022/2023 სასწავლო წლის I სემესტრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**